საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 233

2012წ. "8" 08.

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ჰორიზონტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ჰორიზონტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	სარესტორნო საქმის მწარმოებელი	II	სარესტორნო საქმის მწარმოებლის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	25
2	სარესტორნო საქმის მწარმოებელი	III	სარესტორნო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	25

3	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	III	სასტუმრო საქმის მწარმოებელის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	საკერავი მანქანის ოპერატორი	III	საკერავი მანქანის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
5	სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი	III	საკერავი მანქანის ხარისხის მართვის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
6	საკერავი მანქანის მექანიკოსი	III	საკერავი მანქანის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 7-8 აგვისტოს №18 სხდომის ოქმის მე-9 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
ლალი ღოღელიანი